მოგესალმებით მინიაგურის მინი სამყაროში!

წარმოგიდგენთ მშნებლობის ინსტრუქციას „ბუხრის ნაკრები“ მაკეტისათვის.

1-ეტაპი. სამშენებლო მოედნის მოწყობა- მოათავსეთ ბუხრის ძირი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში შემაღლებული ზედაპირით მაღლა.



2-ეტაპი. ცემენტის მასის მომზადება - თქვენს ბუხრის ნაკრებს მოყვება 2 მინიტომარა ცემენტი. გახსენით მხოლოდ ცემენტის 1 ტომარა, ჩაყარეთ მოსაზელ ჭურჭელში ნახევარი ტომარა ცემენტი. გაითვალისიწნეთ, რომ მოზელილი მასა არ უნდა გაგითხელდეთ, ამიტომ წყლის დასხმის დროს გამოიჩინეთ სიფრთხილე. თავიდან წყალი უნდა დაასხათ ძალიან ცოტა რაოდენობის და მოზელის (მორევის) პროცესში უნდა ამატოთ, როდესაც მიიღებთ ერთგვარ ბლანტ მასას ე.ი. ცემენტის მასა მზადაა გამოსაყენებლად. გაითვალისწინეთ ცემენტის მასა გაშრება 40-50 წუთის განმავლობაში, შრობა დამოკიდებულია ოთახის ტემპერატურაზე და ტენიანობაზე. ბლოკის (აგურის) დაშენების პროცესი ხორციელდება ჩვეულებრივი სამშენებლო წესების დაცვით, მოზელილი ცემენტის მასა უნდა დაიტანოთ ბლოკის (აგურის) ნასვრეტებიან მხარეს და მოათავსოთ ზედაპირზე. 2-3 რიგის დაშენების შემდეგ 50-60 წუთი უნდა დაელოდოთ შრობას და ამის შემდეგ გააგრძელოთ შემდეგი რიგების დაშენება. გაითვალისიწნეთ ზემოთ მოცემული დროები არ არის ცემენტის შრობის სრული დრო, ამიტომ დასრულებულ ნაგებობას გარკვეული პერიოდის (24 საათი) განმავლობაში უნდა მოეპყროთ სიფრთხილით.

3-ეტაპი. ბუხრის შენების დროს დაიცავით სურათზე მოცემული აგურების განლაგების სქემა



ბუხრის ძირის მშენებლობა გრძელდება მეხუთე რიგის ჩათვლით, გაითვალისიწინეთ რომ მეხუთე რიგზე აგურთან ერთად უნდა მოხდეს ბუხრის თაღის დაშენება, მოცემული სურათის მიხედვით.





ბუხრის ძირის მშენებლობის დასრულების შემდეგ მოამზადეთ ბუხრის თავი და დაიწყეთ საკვამურის მშენებლობა მოცემული სურათის მიხედვით:



ხუთი რიგი აგურის დაშენების შემდეგ საკვამურის მშენებლობა დასრულებულია.



დასრულებული საკვამური მოათავსეთ (ან დააშენეთ ცემენტის გამოყენებით) ბუხრის ძირზე მოცემული სურათის მიხედვით

დასრულებულ ბუხარს უნდა ქონდეს შემდეგი სახე

გისურვებთ წარმატებას!